№ 197 23 ენკენისთვე, კვირა 1866—1879 23 ენკენისთვე, კვირა № 197

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადებანი

ოთხშაბათს, 26 ენკენისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

შერცხვენილი ქმარი

(„ჟორჟ დანდენი“)

კომედია სამს მოქმედებად

II

სცენები

ორ მოქმედებად—მელვინეთხუცესოვისა

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყება 7½ საათზე.

(3—1)

„თფილისის წიგნის-ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების“ თავმჯდომარე აცნობებს უ.უ. საზოგადოების წევრთა, რომ, ვინაიდგან საჭირო შეიქნა გამგეობის წევრთ რიცხვის მომატება (წესდების § 16, შენიშვნა) და მრავალთა განაცხადეს სურვილი საზოგადოების წევრათ შემოსვლის, ის, თანახმად წესდების § 11 მუხლისა, ნიშნავს საზოგადოების წევრთ უჩვეულო ყრილობას 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, თფილისის თავად-აზნაურობის ბანკის შენობაში.

ვისაც სურს საზოგადოების წევრათ შემოსვლა უნდა წინ-და-წინ გამოგზავნოს საზოგადოების კანცელარიაში, Въ Тифлисъ. На Давидовской улицѣ, № 20, განცხადება.

საზოგადოების საქმის - მწარმოებელი
ი. მეუნარგია.

(3—1)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადოვაია) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

მალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—სამი მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 20 სექტემბერს. გრაფი ტრაუტმაისტერი დანიშნულია პრეზიდენტად და თავ. კონსტანტინე ჩერტორიისკი ვიცე-პრეზიდენტად რეიხსრატის უფალთ პალატისა. ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსიფმა ფრანც-იოსიფის ორდენი უბოძა გამოჩენილ პოლშელ მწერალს კრაშევსკის იმის იუბილეის გამო.

სტამბოლი, 19 სექტემბერს. შაბათს, 22 სექტემბერს, იქნება აქ უჩვეულებრივო კრება ოსმალეთის მინისტრებისა, რომელზედაც თავსმჯდომარეობა იკისრა თითონ ხონთქარმა და რომელზედაც მინისტრებთა შორის სულთანისაგან მოწვეულია აგრეთვე მაჰმუდ-ნედიმ ფაშაც. რაი რომ სტამბოლში დაბრუნების ნება-რთვა მისცეს, მას აქეთ მაჰმუდ-ნედიმ-ფაშა პირველად მიიღებს ახლა მინისტრების თათბირში მონაწილეობას.

ვენა, 19 სექტემბერს. „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ოსმალეთის მთავრობას (პორტას) მიუღია ოსმალოს ვენელ ელჩის ედჰემ-ფაშისაგან ამბავი თ. ბისმარკის ვენაში მყოფობის შესახებ. ედჰემ-ფაშის სიტყვით, თ. ბისმარკმა გამოაცხადა ვენაში, რომ, თუმცა რუსეთს არ მოსწონს ესაო, მაგრამ გერმანიას კი ჰსურსო, რომ ბერლინის ტრაქტატი ბეჯითად იქმნეს ყველა სახელმწიფოებისაგან ასრულებულიო.

ბუხარესტი, 19 სექტემბერს. 16 სექტემბერს მოვიდა აქ ბოლგარიის მთავარი ალექსანდრე.

პეტერბურღის ბირჟა, 20 სექტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:		მან. კაპ.
პირველი გამოცემის	—	94—62
მეორე —	— — —	93—75
მესამესი	— — —	93—62
მეოთხესი	— — —	93—50
აღმოსავლეთის პირ.	—	91—62
აღმოსავლეთის მეორე	—	91—62
აღმოსავლეთის, მესამე	—	91—50
ოქრო, ½ იმპერიალი	—	7—73
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

		მან. კაპ.
პირველი სესხის—	—	231— „
მეორე სესხის	— —	226—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	25—25	პენსი
გამბურღი	— —	127—25	ცენტი
პარიჟი	— — —	266—57	სანტიმი
ვენა	— — —	214— „	პფენიგი
კავკასიის კერასინი	— — —		

საქართველო

შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაზე.

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ გაზეთის „კავკაზიდამ“ გადმობეჭდილს არტაანიდამ მიღებულს ტელეგრამმას, რომელიც გვაცნობებს, რომ არტაანის მაზრის უფროსს უფ. რაზდერიშინს დაუჭერია ერთი ამ ქალაქის მეორე გილდიის ვაჭართაგანი უფ. სურინოვი, ჯერ გაუროზგავს ის ხალხში, მოწმეებთან, და მერე სატუსაღოში ჩაუგდია. უფ. სურინოვი აცხადებს, რომ ავათ ვიყავი, ექიმი მოვითხოვე, როცა სატუსაღოში ჩამსვეს, და უფ. რაზდერიშინმა ისიც არ მომაკარაო; მთავრობას და სასამართ-

ლოს ესთხოვ ჩემ შებრალებასა და დაცვასაო და სხვ.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, უფ. სურინოვი თითქმის პირველი და ყველაზე უმდიდრესი ვაჭარია მთელს პატაანში. მაშა სადამე ის პატარა კაციარ ყოფილა.

თუ ამისთანა კაცს მოეპყრო ასე უფ. რაზდერიშინი, სხვები, უფრო პატარა, უფრო წვრილი კაცები რაღას უნდა მოელოდნენ იმისაგან? რას უნდა მოელოდეს აგრეთვე ადგილობრივი უბრალო, სოფლის ყრუ ხალხი, რომელსაც არც გაზეთებში ტელეგრამმების გამოგზავნა შეუძლია და ვერც ჩივილს გაბედავს „ნაჩალიკზე?!“

ამ უფ. რაზდერიშინზე შარშანაც რამდენიმე ცუდი ამბავი ეწერა ჩვენს გაზეთში. ერთი იქაური ჩვენი კორრესპონდენტი იწერებოდა, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი თითქმის მუდამ ბახუსის თაყვანის-ცემაში არისო, არც ერთ მომჩივანს არ მოუსმენს რიგიანად საჩივარსა და დავასაო, არაფერს არ აკეთებსო, ორ-ორ კვირაობით აცდეევინებს საბრალო მოჩივან ხალხს, შორ ადგილებიდამ მოსულებსაო და სხვ. და სხვ. ამ კორრესპონდენციებს, მაშინ საუბედუროთ, ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს იმათ, ვისიც ვალი იყო ეს; დღეს, როდესაც ამისთანა საძაგელი ამბავი უფ. რაზდერიშინზედ თვითონ ოფიციალურს, მმართებლობის გაზეთში, „კავკაზში“ იბეჭდება, იმედია, ახლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას და სასტიკად გამოიძიებენ ამ საქმესა და საზოგადოთ უფ. რაზდერიშინის გამგეობას.

აი, ამისთანა კაცები უფუჭებენ სახელს რუსეთის მმართებლობას ჩვენს ახლადშემოერთებულს მაზრებში! მართალია, უფ. რაზდერიშინისთანა მაზრის უფროსი მეორე არ ვიცით ჩვენ არც ყარსისა და არც ბათუმის გუბერნიაში; მაგრამ იმდენიც არ ეჭირება ახლად შემოერთებულ და შესათვისებელ ხალხს; არა-ერთხელ გვითქვამს ჩვენ, რომ ამ ახლადშემოერთებულ ხალხის გულის-მოგება როზგითა, საპყრობილითა და ხიშტებით როდი შემიძლება, არამედ მხოლოთ ლმობიერობითა, პატიოსნებითა და კეთილ-გონიერებითა; რომ იქაური გამგებლები უნდა იყვნენ ხალხის ენის, ხასიათის, ზნის, ჩვეულების და მდგომარეობის მცოდნენი.

თუ ამ ჭეშმარიტებას დამტკიცება ეჭირებოდა, ამ ერთის წლის მაგალითებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით. საცა მაზრის გამგებელი იყო პატიოსანი, გონიერი და ადგილობრივი ხალხის მცოდნე კაცი, იქ ყველაფერი თავის წესზე და რიგზე მიდის, იმ მაზრებიდამ ერთიც არავინ გადასახლებულა ოსმალეთში; პირ-იქით, საცა მაზრის უფროსები ამ პირობებს ვერ ასრულებდნენ, საცა ხალხს ისე ეპყრობოდნენ, როგორც რომელსამე მხეცს მდაბალ სულდგმულს და ყმას, იქ ვერც წესიერებას ვხედავთ და ვერც კმაყოფილებას, იქიდამ ხალხი გადადის; გვეკარგება, როგორც მაგალითად უფ. რაზდერიშინის მაზრიდამ ართაანიდამ, საიდამაც ძალიან ბევრი გადავიდა და უფრო მეტიც გადავა, თუ დროზე არ მიხედეს აქაურ ადმინისტრაციას.

უფ. რაზდერიშინისებური მაზრის უფროსები აფუჭებენ რუსის სახელს ხალხში; ისინი არიან რუსეთის მმართებლობის წარმომადგენელნი და ყოველ იმათ მოქმედებას თვით რუსეთის მთავრობის მოქმედებად სთვლიან. ეს ხალხი, რომელიც ჯერ ჩვენ კარკათ ვერ გვიცნობს, რომელმანც არ იცის არც ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, თვალით სჯის და არა გონებით: თუ ის ხედავს, რომ იმაში გაგზავნილი რუსის ჩინოვნიკები კარგი, პატიოსანი და მცოდნე კაცები არიან, მაშინ, იმის თვალში, თვით რუსიც კარგი ყოფილა და რუსის მთავრობაც; თუ წინააღმდეგ ამისა, ის ხედავს, რომ რუსის ჩინოვნიკი ერთი ბარბაროსი, შეუბრალებელი, უპატიოსნო ვინმეა, მაშინ იმს ჰგონია, რომ თვითონ რუსის მმართებლობაც არ ყოფილა კარგი და ჩვენთვის გამოსადეგიო.

ჩვენ გვგონია, რომ ამ მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენი უმაღლესი მმართებლობა, როდესაც ამ ახლად-შემოერთებულ ქვეყნებში თავის აგენტებსა ანუ ჩინოვნიკებს ნიშნავს...

ს. მ.

დღიური

*** აი ის „კავკაზის“ რედაქციისაგან ართაანიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც დღევანდელი ნომრის წინასტატიაში არის მოხსენებული:

„ამ თვის 15-ს ოკრუგის უფროსმა უფ. რაზდერიშინმა მიმიხმო მე თავისთან, გასცა ბრძანება, რომ ტიტლიკანად გამხადონ, გამაძრონ ყველაფერი ტანისამოსი და ბევრ მოწმეებთან დამარტყან ორმოც-და-ათი მათრახი; შემდეგ შემაგდო სატუსალოში, სადაც ახლაც ვზივარ. ავათ გავხდი, მოვიხმე ექიმი, მაგრამ ის ჩემთან არ მოუშვეს.

„ამ ბარბაროსულ ჩემთან მოპყრობის მიზეზი ის იყო, რომ მე არ ავასრულე კერძო მოთხოვნილება უფ. ოკრუგის უფროსისა, რადგან სრული კანონიერი უფლება მქონდა, რომ არ ამესრულებინა.

„ვთხოვ ჯეროვან სასამართლოს ჩემს დაცვას. მხოლოთ გამოძიებას შეუძლიან დაამტკიცოს ჩემი შერცხვენა და უფლებას-გადასული მოქმედება რაზდერიშინისა. ვედრებით მივმართავ მთავრობას განმათავისუფლოს მე ამ უსამართლო სირცხვილისა და შეურაცხყოფისაგან და კანონიერი სასჯელი მიაყენოს დამნაშავეს.“

მეორე გილდიის ვაჭარი სურინოვი

*** თფილისშიბევრს ლაპარაკობენ ამას წინათ ორი კონტროლიორის (უფ. ჩუბინოვისა და ერთიც კიდევ რუსის) გაცარცვაზე აჭარაში. ამ საგნის შესახებ „თფ. მოამბეში“ იწერებიან ახლა შემდეგ უფრო დაწვრილებითს — და, როგორც ეტყობა, უფრო ბეჯითს ამბავსაც:

კონტროლიორები 1 ენკენისთვეს წასულან ბათუმიდამ ზარზმისაკენ. წასვლის წინათ იმათ ბევრი უთხოვნიათ ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის, რომ რაც შეიძლება მომეტებული ჩაფრები მიეცათ გზაზე, რადგან ბათუმში ლაპარაკობდენ, რომ ამ გზაზე ოც-და-ათამდინ ავაზაკი აჭარელი დაიარებიან და სცარცვენ ხალხსაო; მაგრამ ადმინისტრაციას მხოლოთ ორი ჩაფარი მიუცია ამათთვის.

მდინარე ფარცხალესთან რომ მისულან, მართლაც იქ დახვედრიან ავაზაკები და ნიფხავ-პერანგის-ამარა გაუშვიათ, ფული, ტანისამოსი და სხვა ყველა, რაც გააჩნდათ, სულ წაურთმევიათ და უკან, ბათუმში, დაუბრუნების ნებაც კი არ მიუციათ: ძედისკენ გაუსტუმრებიათ. მისულან თუ არა ძედაში, ტელეგრამმით უცნობებიათ აქედამ თავიანთი მდგომარეობა და შემთხვევა; მიეღოთ ბათუმიდამ საჭირო ტანისამოსი და უკანვე დაბრუნებულან.

*** შემდეგი სხდომა ძალაქის რჩევისა დანიშნულია ხვალისათვის, ორშაბათისათვის. განსახილველი საგნები იგივეა, საცა წინანდელ სხდომებისათვის იყო დანიშნული.

*** ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ის ორი ფირალი (ავაზაკი), ა. სარკვალიძე და ჩ. ჯორბენაძე, რომლებიც, როგორც აბბობენ, ბურიის ეპისკოპოსის გამცარცველთ შორის თავ-კაცებად იყვნენო, მძინარეები მოუკლავთ ამხანაგებს. აბბობენ, ვითომ ამ ავაზაკებს ეთქვას, რომ ხსენებულ ეპისკოპოსის სახლის გაცარცვის დროს ამათ ამხანაგად არავინ ჰყოლია, გარდა ერთის გზის-მჩვენებელსა, რომელიც ეპისკოპოსის დიაკვანი იყოვო.

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში თფილისში გამოცემული ლექსი, „მუხანბაზი“, თქმული დავით ბეიშვილისაგან „დანით მოკლულ პოლოზ მათუზოვზე.“

ერთი ხანა რომ მოვიყვანოთ ამ „მუხამბაზიდამ“, ისიც საკმაო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის იმის გასაცნობად — თუ როგორი ყალიბის არის ეს ლექსი:

„პირფერულად შემამფიცეს, გამიხადეს
მით ძმობილი;
„მეც მივენდე, რა ვიცოდი, ვიყავ გულით მინდობილი!
„სახლში სტუმრად დამპატიჟეს, გამიშალეს წინ სადილი.
„ბექონდა დიდხანს შეყრილობა და ქეიფი ძეტად ტკბილი.
„მე კი თურმე იმ ქეიფში მელის საუკუნო ძილი!“

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ, თუმცა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს ორჯერ მოუთხოვნია ქუთაისის სადგილ-

მამულო ბანკის საბჭოებისა და ზედამხედველ კომიტეტისაგან ქუთაისის კეთილ-შობილთ წლევანდელ მაისის საზოგადო კრებისაგან შეწირული რვა ათასი მანეთი, მაგრამ ხსენებულ ბანკის ზედამხედველი კომიტეტი არამცა-და-არამც არ იძლევა, არ უგზავნის „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ ფულსაო, რადგან საზოგადო კრების გარდაწყვეტილებას ვერ გადავალთო.

ძალიან გვაკვირვებს ამგვარი ჯიუტობა ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა! ჩვენ ძალიან კარგათ გვახსოვს და ვიცით ქუთაისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილება; ამ გარდაწყვეტილებაში სწერია: მიეცეს „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ თფილისის საზოგადოებას“ თერთმეტი ათასი მანეთი იმ პირობით, რომ სამი ათასი მანეთი მოახმაროს როგორც და სადაც თვითონ საზოგადოებას ჰსურს, ისე და იქ; და დანარჩენი რვა ათასი მანეთი მიეცეს საჭიროებისა-და-გვარად იმ პირობით, რომ ეს ფული დაიხარჯოს ქუთაისის გუბერნიაში სასწავლებლის გასახსნელად და აქ დასახარჯავად.

ამ სიტყვებმა „საჭიროების და გვარათაო,“ როგორც გვითხრეს, არია სულ საქმე; ქუთაისის ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ასე განმარტებს ამ სიტყვებს, რომ სულ ერთად ფულების მიცემა არ შეგვიძლიან, გახსენით შკოლა და რაც ფული დაგჭირდებათ; მოგვთხოვეთ და მოგცემთო. საზოგადოების კომიტეტი კი ამტკიცებს, რომ რადგან პასუხისმგებელი ჩვენ ვართ, რადგან შკოლა ჩვენ უნდა გავხსნათ, ფული ჩვენ უნდა ვხარჯოთ, ამის გამო ფულიც ჩვენ უნდა გვქონდესო.

ბასაკვირველია, რომ ეს უბრალო სიტყვები ვერ გაუგია ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტს; იმას მინდობილი აქვს მხოლოთ ფულების გარდაცემა, მინდობილი აქვს გარდაცემა იმ პირობით, რომ ეს ფულები ქუთაისის გუბერნიაში დაიხარჯოს და არა სხვაგან სადმე. ზედამხედველი კომიტეტი ხომ საზოგადოების ზედამხედველად, კონტროლიორად არ დაუნიშნავთ, იმას ხომ არა აქვს უფლება, უთხრას საზოგადოების კომიტეტს, როცა ის ფულებს მოსთხოვს, რომ, არა, არ მოგცემ ფულს, რადგან საჭიროება, რომლისთვისაც თხოულობთ, ნამდვილი საჭიროება არ არისო! მაშ რაღათ აბრკოლებს, რაღათ უშლის ხელს?

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 19 სექტემბერს. ხშირათ ეკითხულობთ ხოლმე თქვენ პატივ-ცემულ გაზეთს „დროებას“, სადაც ბევრისთვის ბევრ სანუგეშოსა და სასარგებლოს ვპოულობთ მოხსენებულს. ნეტარება ზოგიერთის დედასა, რომ თითქმის მარტო იმათთვის ამოდის მზე ქვეყანაზე და ჩვენ კი ასე დავიწყებული და დაჩაგრული ვართ, თითქო ჩვენთვის გული არავის შესტკიოდეს და არც არავის რა კეთილი შეჰჭირდეს

ბევრჯერ დავფიქრდებით: ნეტავ რა მიზეზია და ან რას უნდა მივაწეროთ, რომ თქვენ პატივცემულ გაზეთში ასე ხშირად არის ლაპარაკი ხან ამ სასწავლებელზე, ხან იმაზე; ხან რომელი სასწავლებლის მმართველის ღირსებას და აუგს გაუშლით ხელის გულზე მკითხველთ და ხან რომლისას.

ნეტავ ამ ჩვენმა ბორმა რაღა დააშავა, რომ აქაურ სამაზრო სასწავლებელზე არაოდეს არაფერი არა სჩანს-რა მოხსენებული? ნუ თუ ამ სასწავლებლის ადგილობრივ მთავრობას ეგრე კარგა მიჰყავს საქმე, რომ იმაში არავითარი ნაკლულოვანება არა იპოება-რა და იმისათვის არავინ არას ამბობს? ნუ თუ ეს სასწავლებელი იმდენათ სუსტია, რომ ყურადღების ღირსიც აღარ იყოს? მე მგონია, რომ, თუ თქვენ პატივ-ცემულ გაზეთს აქნამომდე შესახებ ჩვენის სასწავლებლისა და მისი მმართველის უ. ბაუსმანისა არა უთქვამს-რა —ეს სულ მარტო მისთვის, რომ ჯერ უ. ბაუსმანისთვის ან არავის მოუცლია, ანა და ხათრი უნახამთ.

არც ჩვენ გვსურდა ჩვენის შვილების უფროსზე აუგის ლაპარაკი, რადგანაც ჩვენც ურთიერთ შორის ნაცნობობაც გვქონდა, პატივის-ცემაც, ხათრიც, მეგობრული მიკითხვ-მოკითხვა და ტკბილი სალამიც, მაგრამ ეხლა კი ყოველივე ესე დავიწყებული შეიქნა ჩვენ გულში იმისის უწესოების და უსამართლოების გამო შესახებ ჩვენის სასწავლებლისა და სასიბრალულო ჩვენი შვილებისა.

თუ მართლა, როგორც უ. ბაუსმანისაგან გაგვიგონია, ისე დაახლოებითი ცნობა და მეგობრობა გაქვთ ერთმანეთში(?!), თქვენც დაგვეთანხმებით, უ. რედაქტორო, რომ ეს კაცი მაჰმად-ხანის დროების პედაგოგია, რომელსაც ამ დროებისა და საუკუნესი არა მოსწონს-რა და არცარა ესმის-რა, რომ ამ დროებია და კვალად სასწავლებლის საქმე მართოს.

ველას ვისმენ რა შველია და ჩვენ ამისაგან საშველი არ მოგვეცა. ხათაე?! სომხისა არ იყვეს. . . . . აქამდინ არას ვამბობდით, რადგანაც ბევრისაგან გვესმოდა, რომ ჩვენი სამაზროს სასწავლებლის სამოქალაქო სასწავლებლად შეცვლის შემდგომ უ. ბაუსმანს აქ ადგილი აღარ ექნებაო. ჩვენ ეს ამბავი ძრიელ გვიხაროდა, მაგრამ ეხლა, ჩვენი შვილების საუბედუროთ, იმასვე ამბობენ, თუ სამოქალაქო სასწავლებელშიაც უ. ბაუსმანი ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად რჩებაო. მაშ ამისაგან აღარა გვშველებია-რა. ის რო დაბადებულა, ასე დაულოცამთ: „ბორსამც შეჰბერებიხარო“! არა კმარაა, თქვენი ჭირიმეთ! ოც-და-თექვსმეტი წლის ნამსახური კაცია; სამ ნაირ პენციას იღებს. რაღა დასანანია ამისი გაშვება! ჯერ აქნობამდინაც, თუ არა და ეხლა კი მაინცა-და-მაინც დროა, რომ დაუთმოს თავისი ადგილი ერთ რომელიმე ახალ მეტოდაზე შეწავლილ გამოცდილ ყმაწვილ კაცს. ბ. ერთ-ერთ ზომაზე მეტ სარგებლობას მოგვიტანს.

ზემოთა ვსთქვით—თუ უ. ბაუსმანი ძველი კაცია და ახალი დროების და სწავლის ბევრი არა გაეგება-რა-მეთქი. დასამტკიცებლად მისა, რომ უ. ბაუსმანი პედაგოგიური მხრივ ძრიელ სუსტია, ჩვენ შეგვიძლიან ვიხმაროთ ფაქტად ისიცა, რომ უკეთუ ამისი სასწავლებლის რომელიმე ყმაწვილი დარჩა გადაუყვანელი შემდეგ კლასში, ან სასწავლებლის დასრულების მოწმობა მიუღებელი—კითხვა აღარ უნდა, იმისი საგნებიდამ იქნება დაბრკოლება. თუ ვინმე მშობელთაგანი მივიდა სასწავლებელში შესატყობლად—თუ რა მიზეზით ან რა საგნიდამ დარჩა იმისი შვილი, უ. ბაუსმანი გამოუარდება იმას და პირ-იქით ჯავრობას დაუწყებს, ვითომ იმისი შვილი ზარმაცი იყოს, კლასს აკლდებოდეს, ტყუილათ ავათმყოფობას იგონებდეს და სხვა... ამას მართალს ბრძანებს უ. ბაუსმანი; მისი ყმაწვილები საზოგადოთ ხშირად აკლდებიან კლასებს და ხშირადაც ავათმყოფობენ. მე როგორც გამიგია, არც უ. სმოტრიტელი ყოფილა ძრიელ ბეჯითი თავის საქმეზე და იმისგვარ სხვისთვის ნათქვამი სიტყვები იმასვე მიეჩერება; და თუ ყმაწვილები აკლდებიან კლასს ვინ არი აქ ამისი მიზეზი?

მისაც ერთხელაც არი უ. ბაუსმანის სასწავლებელი უნახავს, ის დიდხანს არ დაფიქრდება ამ კითხვის პასუხზე და მსწრაფლ უჩვენებს უ. ბაუსმანზე.

კლასს აკლდებიან შაგირდებიო, ამბობს უ. ბაუსმანი! მრთი ესეც მიბრძანოს: როდესაც დადიან, მაშია რაღას ასწავლის ის შაგირდებს? ბინდ იარონ, რა იქნება, ის ხომ თავის ძველებურ ორასი წლის წინანდელ მეტოდას თავს არ დაანებებს და ამ მეტოდის ნამყოფს ვინც ბეჯითად დადის, იმაშიაც ცოტას ეხედავთ: ისე წასულა წელს საზოგადოთ ყმაწვილების ეგზამენიებს საქმე უ. ბაუსმანის საგნებიდამ, რომ ას ყმაწვილში სულ ათს არ მიუღია ხეირიანი ბალი, დანარჩომს სულ ერთი და ორი, ერთი და ორი...

ამ კურთხეულს საქმე ვერ მიჰყავს რიგიანად და უჩენიკებს კი აბრალებს. რო კიდეც აკლდებოდნენ ყმაწვილები, რა გასაკვირვალი იქნება, როდესაც უ ბაუსმანის კლასებში ისე ჰყინავს ზამთრობით, როგორც ტირიფონის მინდორში! უფ. ბაუსმანი შვიდ ოთახ ორი ბუხარით თურმე ათბობს; და ისიც როგორ? ორლ-სამსამი ღერა შეშით! „ნეტავ ატდუშნიკებიც არ ჰქონდეს ხსენებულთ ოთახებისაო; რო იმ ორი ბუხრიდამ გამოსული სითბოც არ გაეიდგაშოვიდეს ოთახიდამ ოთახშიო და ან კარები ეხურებოდესო, რომ ხალხის სიმრავლემ ცოტაც არი დაათბოსო! ჩვიან ხოლმე საცოდავი სიცივით აკანკალებულნი და ფერ-მიხდილნი ბავშები. წარმოიდგინეთ რა იქნება; შვიდი ოთახის კარებებში ერთი კარიდორის კარე-

ბის მეტი არც ერთი არ ეხურება! ჩვენც მშობელთ და მოსათვალავეთ უმაწვილებისას იმდენი შეძლება არა გვაქვს, ისე კარგა ჩავაცვათ იმათ, რომ ზამთარ ცეცხლი და კარების რიგიანად დახურვა აღარ მოუნდეთ. ამდენი შეძლება გვქონდეს ბაუსმანსაც აღარ მივაბარებდეთ შვილებს.

უმაწვილები ავად ხდებიანო! რა არ გახდით ავათ, როდესაც უ. ბაუსმანი იმათ ასმევს დამპალი ჭის წყალს; შკოლის ჭა გამოსადეგი და დასალევი იყოს, უ. ბაუსმანიც დალევდა იმის წყალს, მაგრამ ის, არა თუ სასმელად არა ხმარობს ხსენებულის ჭის წყალს, ჭურჭელსაც არ არეცხინებს იმითი. თავისთვის მტკვრის წყალს აზიდვინებს, რა იქნება საწყალი შაგირდებისთვისაც მუატანინოს თითო გზა რიგიანი წყალი და ჭია-ჭუათი სავსე აყროლებული წყლით არა ხოცოს ბავშები? მაგრამ რას ვამბობ! ბაუსმანი წყალს როგორ იყიდის უმაწვილებისთვის მაშინ, როდესაც ერთი ქესტის ორ-მაურიანი კრუჟკაც ვერ უყიდნია, რო ბავშებმა მუჭით არა სვან ზამთარ გაყინული წყალი.

ეხლა შევიხედოთ კლასის ოთახებში და შკოლის ფეხის-ადგილში და ვნახოთ თუ რა სისუფთავეა იქ. მაგრამ განძათავისუფლეთ ფეხის-ადგილზე ლაპარაკისაგან; ის არც ლაპარაკის ღირსია და ვერც გამოსთქვამს ენა იმის სისაძაგლეს. რაც შეეხება კლასის ოთახების სისუფთავის მხრივ—კმარა მოგახსენოთ, რომ უ. ბაუსმანის ბორში სმატრიტლობაში, ესე იგი ამ ცამეტ-თოთხმეტ წელში იმათი პოლი არა თუ ერთჯელ არ გარეცხილა, დაგვაზედაც არ მორწყულა. ეხლა თქვენც წარმოიდგენთ თუ რა სისუფთავე იქნება ჩვენს სასწავლებელში ან მისი მტვერი რა ხეირს დააყრის ჩვენს საცოდავ, ყველასაგან მოძულებულ და დავიწყებულ შვილებს.

რო არ მოვაბეზროთ მკითხველს, ჯერ-ჯერობით ეს იყოს და შემდეგისთვის კიდეც ვიფიქრებთ. მაგრამ ესეც კი არი: ვინც რა უნდა სთქვას, გინდ დასწეროს უ. ბაუსმანზე—ის გაიცინებს, ხელს გაიქნევს და იტყვის; „რაც გნებავთ, ჰქენით; დიდი ბოზიჯერებს ყველთა მაფარია, მე ვინ რას დამაცლიანებთ!“

ლორასპიშვილი.

19 სექტემბერს. 1879 წ.

ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთოობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნული არიან გაასაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით; იმ მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდი-მოდიან, იგინი არ მიიღებენ.

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

თფილისიდამ ღამისა 6 საათზე		მცხეთიდამ ღამისა 7 საათზე	
1-ᲚᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ			
დილისა 7 საათ.	07 მინ.	დილისა 8 საათ.	07 მინ.
8 საათ.	10 მინ.	9 საათ.	11 მინ.
10 საათ.	01 მინ.	11 საათ.	01 მინ.
11 საათ.	03 მინ.	12 საათ.	05 მინ.
12 საათ.	10 მინ.		
შუადღისას 1 საათ.	24 მინ.	2 საათ.	15 მინ.
		4 საათ.	05 მინ.
3 საათ.	13 მინ.	5 საათ.	17 მინ.
ღამისა 6 საათ.	10 მინ.	ღამისა 7 საათ	14 მინ.
7 საათ.	17 მინ.	8 საათ.	18 მინ.
8 საათ.	21 მინ.	9 საათ.	55 მინ.
9 საათ.	58 მინ.	11 საათ.	05 მინ.

ყველა მატარებელში იქნება ადგილი 48 პასაჟირისათვის I კლასში, 128 II კლასში და 600 პასაჟირისათვის III კლასში.

დღესასწაულის დღეს და წინა დღესაც, თფილისისა და მცხეთის სტანციებში, პასსაჟირებისათვის ბილეთები გაიყიდებიან ოთხ კასსაში: I და II კლასების ბილეთები სამუდამო სტანციის კასსაში, მესამე კლასისა კი სამ დროებით გამართულ კასსებში შემდეგი ნომრებით № № 2, 3 და 4, სტანციის შენობის ახლოს. ყველა წამსვლელ მატარებლისთვის იმდენი ბილეთები გაიყიდებიან, რამდენიც ვაგონში ადგილებია. შემდეგ კისსები დაიკეტებიან და ახლად გაიღებიან ახალი მატარებელის მოსვლამდინ ნახევარ საათის წინათ.

იმ პასსაჟირებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ.

(3—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	1[illegible]	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ᲣᲒ რილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ᲤᲝᲗᲘ. . . .	9	50			12	24	6	26
ᲤᲝᲗᲘ	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ᲣᲒᲘრილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ	მან	კაპ.
ᲝᲪᲘ სიტყვა თფილისიდამ.		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐს	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75
ᲤᲝᲩᲢᲐ		
ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ᲝᲖᲣᲠ.—პარასკ. და ორშ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ—ყოველ დღე კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ორშ. და პარასკ.		
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ
ᲚᲘᲐ წიგნის		3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		7

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ	მან	კაპ
თფილისი 21 სექტემბ.	—	—
ᲤᲥᲕ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ ფუთ.	2	40
ᲨᲥᲕ. წითელი . .	2	—
ᲭᲐᲠᲘ ფუთი . . .	1	40
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ფუთი.	8	40
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფ. ფუთ .	9	30
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ფუთი.	11	70
ᲛᲐᲢᲚᲘ თუშური ფუთი.	8	50
—ᲗᲘᲠᲐᲥᲛᲘᲡᲐ ფუთი .	4	20
ᲐᲑᲠᲐᲨᲣᲛᲘ ნუხური სტ.	2	10
ᲭᲝᲜᲘ ფუთი . . .	5	60
ᲭᲝᲜᲘᲡ სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	80
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ ᲑᲠᲝᲪ. ფუთ .	7	35
—ფხვნილი ფუთი .	5	60
ᲧᲐᲕᲐ რგვალი გრვ. .	—	65
ᲖᲔᲗᲘ ქუნჯუთისა ფუთი.	15	70
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ საშუალო ფთ.	6	70

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲠᲜᲐᲚᲝ.
ᲔᲠᲔᲕᲜ. მეიდ., ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕ. ᲡᲐᲮᲚᲘ.
ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲡ მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ და ᲕᲐᲠᲫᲚᲔᲕᲘᲩᲘ—შინაგ. ავათმყოფობის.
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ შინაგ. ავათმყოფ.; ᲠᲔᲘᲩᲘ—თვალის, ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—ვენერიულის, და კანისა; ᲑᲐᲑᲐᲕᲘ—გულისა და შინაგ.
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—შინაგ, ᲐᲡᲢᲣᲐ-ᲪᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ—ქალისა და ბავშვების ავათმყ.
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ—შინაგ. ავათმყ. და ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—კანის და ვენერიულის.
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ იქნებიან: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ, შინაგ.; ᲐᲡᲢᲣᲐ-ᲪᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ—ვენერ. და კანის; ᲑᲐᲑᲐᲕᲘ—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.
ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲔᲕᲘ, შინაგ.; ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ.—ვენერ. და კანის ᲠᲔᲘᲩᲘ—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1879 г. Типографія Меликова. ᲑᲐᲭᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓ. Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.